342	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0,60	0,00	0,60	1,00	0,00	1,00	19,00	0,00	19,00
06 02 01	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება**	**408,30**	**0,00**	**408,30**	**471,60**	**0,00**	**471,60**	**700,00**	**0,00**	**700,0**
	ხარჯები	408,30	0,00	408,30	471,60	0,00	471,60	700,00	0,00	700,0
	სუბსიდიები	71,10	0,00	71,10	71,60	0,00	71,60	71,60	0,00	71,6
	კერძო საწარმოებს	71,10	0,00	71,10	71,60	0,00	71,60	0,00	0,00	0,0
	კერძო არაფინანსური საწარმოები	71,10	0,00	71,10	71,60	0,00	71,60	0,00	0,00	0,0
	სხვა სექტორებს	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	71,60	0,00	71,6
	სოციალური უზრუნველყოფა	337,20	0,00	337,20	400,00	0,00	400,00	609,40	0,00	609,4
	სხვა ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	19,00	0,00	19,0
	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	19,00	0,00	19,0
06 02 02	**ა(ა)იპ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დედოფლისწყაროს სათნოების სახლი**	**303,80**	**0,00**	**303,80**	**306,00**	**0,00**	**306,00**	**312,70**	**0,00**	**312,7**
	ხარჯები	303,80	0,00	303,80	306,00	0,00	306,00	312,70	0,00	312,7
	სუბსიდიები	303,80	0,00	303,80	306,00	0,00	306,00	312,70	0,00	312,7
	სხვა სექტორებს	303,80	0,00	303,80	306,00	0,00	306,00	312,70	0,00	312,7
06 02 03	**ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები**	**0,60**	**0,00**	**0,60**	**1,00**	**0,00**	**1,00**	**1,00**	**0,00**	**1,0**
	ხარჯები	0,60	0,00	0,60	1,00	0,00	1,00	1,00	0,00	1,0

	ხარჯები	0,60	0,00	0,60	1,00	0,00	1,00	1,00	0,00	1,00
	სოციალური უზრუნველყოფა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	1,00	0,00	1,00
	სხვა ხარჯები	0,60	0,00	0,60	1,00	0,00	1,00	0,00	0,00	0,00
	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0,60	0,00	0,60	1,00	0,00	1,00	0,00	0,00	0,00

გადანაწილების მოლოდინი პოლიტიკურ დაფაზე

საქართველოს პოლიტიკურ დაფაზე დიდი ვნებათაღელვაა. ყველაზე რეიტინგულ ოპოზიციურ პარტიაში განხეთქილება ნიკანორ მელიას მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვებით გაგრძელდა. ოპოზიციაშია ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც, რომელსაც საპრეზიდენტო პოსტის ვადაზე ადრე დატოვება ირაკლი კობახიძემ უწინასწარმეტყველა. მელიამ და ზურაბიშვილმა, შესაძლოა, ახალი პოლიტიკური მოძრაობა შექმნან. იქნებიან თუ არა ისინი ალიანსში ერთმანეთთან?- ესაა დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის აქტუალური კითხვაც და ინტრიგაც.

სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის ვადა 2024 წლის ბოლოს ეწურება, თუმცა, პოლიტიკური ძალები, მათ შორის "ოცნებაც" ხშირად საუბრობს იმაზე, რომ შესაძლოა ზურაბიშვილმა ოპოზიციურ ფლანგზე შექმნას მოძრაობა და 2024 წლის არჩევნებისთვის იბრძოლოს, მათ განსაკუთრებით ეჭვებს უჩენთ პრეზიდენტის ბოლო აქტივობები. როგორც კონსტიტუციონალისტები ამბობენ, მოქმედ პრეზიდენტს საარჩევნო კამპანიაში ჩართვის უფლება არ აქვს და თუ მისი მიზანი ესაა, უნდა გადადგეს. ასეთი განცხადების უკიდურესი ვადა კი, ცესკო-სთვის პარტიის მიერ კანდიდატთა სიის წარდგენის ბოლო ვადაა. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის შანსებს 2024 წლის არჩევნებისთვის, ანალიტიკოსების ნაწილს ამაზე საუბარი უჭირს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ დიდი ალბათობით ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიას პარტიასთან შეკრავს ალიანსს, ეს კი შესაძლოა არცთუ წარმატებული ტანდემი აღმოჩნდეს .

"ძალიან კარგი იქნება, თუ ამ უთავბოლო ოპოზიციას უთავბოლო ზურაბიშვილი ჩაუდგება სათავეში - საბოლოო საკონტროლო გასროლა იქნება ოპოზიციისთვის", - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, "ხალხის ძალის" დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ სალომე ზურაბიშვილმა არჩევნებამდე 1-2 თვით ადრე შესაძლოა თანამდებობა დატოვოს და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. მაჭარაშვილის თქმით, ზურაბიშვილი ოპოზიციას "თავს და ბოლოს ვერ გაუგებს". "ჩვენ ერთადერთი პარტია ვართ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, რომელიც სალომე ზურაბიშვილს პარტიაში არ მივიღებთ", - განაცხადა "გირჩის" დეპუტატმა, იაგო ხვიჩიამ, რომელმაც კითხვაზე, რატომ არ მიიღებენ სალომე ზურაბიშვილს მათ პარტიაში, ამბობს, რომ "ივანიშვილის კადრების გადაბირებით" დაინტერესებულნი არ არიან". "არ გამოვრიცხავ სალომე ზურაბიშვილი ევროპელი პენსიონერი კი არ იყოს, მართლაც ჰქონდეს სურვილი ქართულ პოლიტიკაში უფრო ღრმად დამკვიდრების", - ამის შესახებ "სტრატეგია აღმაშენებლის" დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ თქვა, რითაც გამოეხმაურა "ოცნების" თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებას. მანჯგალაძის თქმით, შესაძლოა, ზურაბიშვილი გაზაფხულს დაელოდოს და შემდეგ მიიღოს ეს გადაწყვეტილება.

„სალომე ზურაბიშვილს რაც შეეხება, ალბათ გაზაფხულს დაელოდება, როცა მოხდება რეიტინგების გაზომვა, მათ შორის მისი გავლენის პოლიტიკურ პროცესზე და მიიღებს გადაწყვეტილებას. მით უმეტეს, საპრეზიდენტო ვადა გასდის, თან ხან "კოჭლ იხვს" ეძახიან, ხან რას და იცით, რომ პრეზიდენტის ფუნქციები ამ ქვეყანაში დიდი არ არის, ამიტომ არ გამოვრიცხავ მართლაც ჰქონდეს სურვილი ქართულ პოლიტიკაში უფრო ღრმად დამკვიდრების", - განაცხადა მანჯგალაძემ. კონსტიტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე "რეზონანსთან" იმ პროცედურებზე ყვება, რომელსაც უნდა მიჰყვეს, თუ პრეზიდენტს საარჩევნო კამპანიაში ჩართვა და არჩევნებში მონაწილება სურს".

"საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, ამ დროში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ბევრმა ამომრჩეველმა შესაძლოა თავისი დამოკიდებულება შეიცვალოს, ის დამოკიდებულება, რაც დღეს აქვს ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ, ამიტომ ახლა პროგნოზის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელია. უფრო მესაც ვიტყვი, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგაც კი, ჩემთვის საკმაოდ რთული იქნება პროგნოზების გაკეთება თუ პრეზიდენტის ჩართვა საარჩევნო კამპანიაში რამდენად წაადგება კონკრეტულ პარტიას. შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ კონკრეტული პარტიის სახელის ქვეშ შესაძლოა გაერთიანებული იყოს კიდევ რამდენიმე სხვა პარტიაც", - ამბობს ვახტანგ ხმალაძე.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე აცხადებს, რომ დიდი ალბათობით პრეზიდენტი ზურაბიშვილი 2024 წლის არჩევნებზე მონაწილეების განაცხადს გააკეთებს, თუმცაღა ეეჭვება, რომ ბარიერი დაძლიოს იმ პლატფორმამ, საიდანაც ზურაბიშვილი იმოღვაწევებს, აბაშიძის ვარაუდოთ ეს შესაძლოა იყოს გახარია-ზურაბიშვილის ალიანსი.

"მას ან რაღაც ახალი პარტიის შექმნა მოუწევს, ან რომელიღაც პარტიაში შეკედლება. დიდი ალბათობით ეს შეიძლება იყოს გახარიას პარტია და არა "ლელო" და არანაირად ენმ, რომელიც უკვე ნამსხვრევებადაა ქცეული. არაა გამორიცხული ეს კონფიგურაცია, რომ გახარიას პარტიაში სალომე ზურაბიშვილი პირველ ნომრად იყოს, მეორე ნომრად გახარია და შემდეგ სხვები, მაგრამ საკითხავია ეს ორი ურეინტინგო პოლიტიკოსი ერთმანეთს მისცემენ კი საკმარის ხმებს, რომ 5%-იანი ბარიერი გადალახონ?! ძალიან სათუოა და ნუ იქნებიან მორიგ თვითილუზიაში, ნურც ზურაბიშვილი, ნურც გახარია, ნურც ხაზარაძე და სხვები, რომ მათ ელექტორატის მხარდაჭერის რესურსი აქვს. არჩევნები ცალ-ცალკე პარტიებით და 5%-იანი ბარიერით იქნება და არა ბლოკებით, ვნახოთ ვინ რას შეძლებს. არც მმართველ პარტიას არ უნდა უხაროდეს, რომ საკონსტიტუციო უმრალესობას მიაღწიოს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია და თვითდესტრუქციის გზაზეა, არ გამოვრიცხოთ ეს სცენარიც, რომ მომდევნო მოწვევის პარლამენტში „ქართული" ოცნება შევიდეს და ერთი-ორი პარტია რამდენიმე დეპუტატით", - მიიჩნევს გია აბაშიძე.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე არ გამორიცხავს ოპოზიციური კოალიციის შექმნას, სადაც ნიკა მელია იქნება ერთ-ერთი მონაწილე. "ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს მელია თავის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად და მერე შეიძლება იყოს ლაპარაკი მასთან არა გაერთიანებაზე, არამედ კოალიციაში მის მონაწილეობაზე. მას ვინ შეიძლება მიეკედლოს, ძნელი სათქმელია, ყველაზე ახლოს თუ ვინმე დგას მასთან, ეს არის ჯაფარიძე-ხოშტარიას ჯგუფი", -ამბობს ძაბირაძე, რომელიც თვლის, რომ „ესინი შეიძლება შეუერთდნენ მელიას რადგან ორივენი "ნაციონალური მოძრაობიდან" მოდიან".

"ნაციონალური მოძრაობის" ექსთავჯდომარე ჯერჯერობით დუმს, ხოლო მის ყოფილ პარტიაში რღვევის პროცესი გრძელდება და წევრები მიყოლებით ტოვებენ ორგანიზაციას.

"ზოგადად ეს რამის მომტანი იქნება თუ არა, არ ვიცი. თუ მხოლოდ 5%-იან ბარიერზე იმუშავებს, თუ უფრო მეტის მოლოდინი აქვთ, ჯერჯერობით უცნობია. დაველოდოთ როცა მელია გააკეთებს განცხადებას. არ გამოვრიცხავ, რომ მელიას ამასთანავე შეუერთდეს "ევროოპტიმისტები" - რომან გოცირიძე-ხატია დეკანოიძის ტანდემი. მაგრამ ჯერჯერობით მელია თვითონ უნდა ჩამოყალიბდეს და როდესაც გაურკვეველია, ქმნის პარტიას თუ არ ქმნის, ასეთ ვითარებაში რთულია ილაპარაკო ვინმესთან გაერთიანებაზე ან კოალიციაზე. თუმცა, ყველაფერი მხოლოდ მელიას გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული, "ლელოსაც" ექნება პრეტენზიები. მაგრამ, თუ არსებობს პოლიტიკური ნება, ყველაფრის დაძლევა შეიძლება" - აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

მელიამ ნაციონალური მოძრაობის დატოვების შემდეგ განაცხადა, რომ ახალ პარტიას აფუძნებს, რომელიც ბევრს გააკეთებს ქართული დემოკრატიისთვის. პოლიტოლოგთა ერთი ნაწილის აზრით, ბრძოლა „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეობისთვის არ დასრულებულა, ის გრძელდება და ნიკა მელიაც ელის საჭირო დროს, რომ ბელადის მანტია კვლავ მოირგოს.

ძირეული ცვლილებების დროა...

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები დიდი განხილვის საგანი გახდა საზოგადოებაში, როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მშობლებისთვის. გაუქმდა განმსაზღვრელი შეფასებების კომპონენტები (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და მოდელები. სკოლებს თავად შეუძლიათ შექმნან განმსაზღვრელი შეფასების ორიგინალური სისტემა და პრინციპები, რომლის მიხედვითაც სასკოლო სისტემაში დაწერილი ნიშნების კონვერტირება მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ 10 ბალიან სისტემაში; ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, როგორც განათლების სამინისტროში განმარტავენ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების მიხედვით, სკოლებში მოსწავლის ცოდნის განმსაზღვრელი შეფასება კვლავ სავალდებულოა, თუმცა კომპონენტებს სკოლა შეარჩევს.

- სანამ უშუალოდ თემაზე ვისაუბრებთ და რესპოდენტების, ჩვენი პედაგოგების აზრსაც მოვისმენთ, მანამდე, როგორც ორი მოსწავლის მშობელი, ჩემს აზრს დავაფიქსირებ ზოგადად საკითხის ირგვლივ.
- რამოდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა პედაგოგმა ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ: „თუ სკოლაში მე თითოეულ ბავშვზე ხელფასის სახით 2 ლარი მიწევს საათზე, რეპეტიტორობისას ეს თანხა თითოეულ ბავშვზე 25 ლარიაო და მოვითხოვთ სტანდარტის გათანაბრებას თუ ვერა, ერთმანეთთან დაახლოვებას მაინცო და აქციებით დაიმუქრა.“ ახლა მინდა დავსვა ასეთი კითხვა და ამ კითხვით აუცილებლად მივმართავ განათლების სამინისტროსაც – **ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით თუ სკოლა მოსწავლეზეა ორიენტირებული, როდის მივიღებთ განათლების ხარისხის დონის აწევას ჩვენს მოსწავლეებში?** თუ წლების წინ პედაგოგთა ხელფასი პირობითად 500 ლარი იყო და ახლა 1500, მე როგორც მშობელმა მაინც სულ ერთნაირად უნდა ვამზადო ჩემი აბიტურიენტი, მოსწავლე შვილები რეპეტიტორებთან ? პირადად ჩვენთვის რატომ არაფერი იცვლება? რაში უხდის ბავშვებს სახელმწიფო ვაუჩერის სახით წელიწადში 3000 ლარს? ამ შემთხვევაში ჩემი კითხვა რიტორიკულია: ჩვენი შვილების განათლების ხარისხის სტანდარტი როდის გაუტოლდება საშუალო დონის განვითარებული ქვეყნების მოსწავლეთა განათლების ხარისხის სტანდარტს?!
- მე მახსოვს ჩემს დროს სკოლაში მკაცრი მონიტორინგი ხორციელდებოდა ხარისხის კონტროლის კუთხით. კლასი, რომელიც ყველაზე დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა, პედაგოგებს ეძლეოდათ მკაცრი რეკომენდაციები ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. არ ვიცი დეტალები, დღეს ამ მხრივ როგორ მიმდინარეობს მეთვალყურეობა, მაგრამ ვიცი ის, რომ საჯარო სკოლებში საგაკვეთილო პროცესების იმედად ვერ დავტოვებთ შვილებს და ისინი აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ ათეული წლების განმავლობაში, ეროვნულ გამოცდებამდე! ეს არის ის რეალობა, რომელსაც არათუ თვალს ვერ მოვუხუჭავთ, ამის გამო, თვალს ვერ გავუსწორებთ მომავალ თაობებს, ძალიან სწრაფი და ძირეული ცვლილებები თუ არ მოხდა მთელს სისტემაში. უკვე წლებია, პედაგოგები გარკვეული საფეხურის ასამაღლებლად გამოცდებს აბარებენ და აბარებენ, სტატუსსაც იმაღლებენ. გადაიღალნენ ამ გაუთავებელი გამოცდების ჩაბარებით. მე, როგორც მშობელს მიმაჩნია, რომ 10 ქულაზე (პირობითად) გასული მასწავლებელი ვერ მისცემს მეტ ცოდნას ჩემს შვილს, ვიდრე 7 ქულაზე გასული,მხოლოდ ამ ნიშნით. ანუ, ათოსანმა მასწავლებელმა შეიძლება 5-ზე ასწავლოს მოსწავლეებს, ხოლო ხუთოსანმა მასწავლებელმა ათეზე. აქ სხვა მიდგომებიც მუშაობს – ერთ-ერთი კი პედაგოგის უნარია, მოსწავლეს მაქსიმუმამდე გადასცეს კონკრეტული მასალა. საერთოდაც, ვფიქრობ, პედაგოგი არამხოლოდ საკუთარი სტატუსით და ჩაბარებული გამოცდების ქულათა რაოდენობით, არამედ კლასში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მიხედვითაც უნდა ფასდებოდდეს დიდწილად. მიმაჩნია, რომ დროა მშობლებმაც ცოტა გამოვიღვიძოთ, მეტად ვიაქტიუროთ და ჩვენც მივეხმაროთ განათლების სისტემას ახალი პოლიტიკის გატარებაში, რომ რაღაც სასიკეთოდ დაიძრას და ისეთივე სავალალო შედეგები, რაც ორიოდე დღის წინ გამოქვეყნდა, თავიდან ავიცილოთ.

აღიარებულია, რომ გლობალურად ზოგადი განათლების საუკეთესო სისტემა სკანდინავიის ქვეყნებში მოქმედებს, უფრო კონკრეტული მაგალითისთვის ფინეთს იყენებენ. ზოგადი განათლება 10 ძირითადად პრინციპზე დგას და ესენია: თანამშრომლობა, თანასწორობა, ბუნებასთან სიახლოვე, მასწავლებელთა უწყვეტი განვითარება და ა.შ. სოციალური კეთილდღეობის კომპონენტებისგან გამოსაყოფია მაღალი ანაზღაურება და უფასო კვება. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ზოგადი განათლების დინამიკის შესწავლის შედეგები კი საქართველოს შესახებ, ყოველწლიური ერთდღიანი თავზარის მიზეზი ხდება ხოლმე, რადგანდამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ზოგადი განათლების სფეროში მუდმივი რეფორმა მიმდინარეობს, თუმცა შედეგი -საჯარო სკოლებში მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება ჯერ არსად ჩანს!

ეთერ ალადაშვილი, ***მეორე საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი*** – საგანმანათლებლო სისტემაში სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი შეფასებაა. მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს შეფასების მნიშვნელობა, იცოდეს მისი სახეები და ოპტიმალურად გამოიყენოს სასწავლო პროცესში. შეფასების არსი და მისი კომპონენტები მოსწავლემაც უნდა იცოდეს. მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რას მოელიან მისგან და როგორ აფასებენ მის ცოდნას. მე ხშირად ვადგენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აქტიური ჩართულობით.

დღეს სკოლებში ვიყენებთ შეფასების ორ ფორმას: განმავითარებელს და განმსაზღვრელს. განმავითარებელ შეფასებას ყოველდღიურად გამოვიყენებთ. სწავლის პროცესში მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეების ცოდნას, მიუთითებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათთან ერთად მუშაობს ხარვეზების გამოსწორებაში. ამას პედაგოგი აკეთებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით: მითითებებით, რჩევებით, ზეპირი თუ წერილობითი კომენტარებით. განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს მკაფიო უკუკავშირს, თუ სად იმყოფება მოსწავლე იმჟამად განვითარების საკუთარ ტრაექტორიაზე, როგორ შეიძლება სირთულის დაძლევა და წინ წაწევა. სამწუხაროდ, მოსწავლეთა და მშობელთა ნაწილს შორის განმავითარებელი შეფასება დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. დღეს სკოლებში ნიშნის კულტი სუფევს. „რა ნიშანი დამიწერეთ?“ ამ კითხვას ხშირად გვისვამენ მოსწავლეები და მშობლებიც სკოლიდან დაბრუნებულ შვილს ეკითხებიან: ,,რა მიიღე?“ ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რაში და როგორ გამოიყენებენ ნიშანს, თუკი სათანადო საგნობრივი კომპეტენცია არ ექნებათ. დიმიტრი უზნაძეც სკოლაში შეფასების წინააღმდეგი იყო, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს ხელს უშლის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. პირადად მე მივესალმები უნიშნო სწავლებას, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ამისთვის ჯერ მზად არ არის.

ყურადღებას გავამახვილებ შეფასების სისტემის ახლებურ მიდგომებზე. ძველი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მკაცრად იყო ჩამოყალიბებული განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები. მოსწავლეს ნიშანი ეწერებოდა საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებში, სემესტრული და წლიური ნიშნებიც, შესაბამისად, მათზე დაყრდნობით იწერებოდა. ახალი ესგ-ის მიხედვით, ასე შეფასება აღარაა სავალდებულო. განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს ახლა ადგენს თავად სკოლა. იგი უფლებამოსილია, საგნების მიხედვით თავად განსაზღვროს შეფასების სემესტრული და წლიური ნიშნის დაანგარიშების სისტემა. მოსწავლეთა ინტერესებისა და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლა თვითონ განსაზღვრავს, რა და როგორ შეაფასოს. ჩვენი სკოლის დირექცია და მასწავლებლები უკვე აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. სამინისტროს მთავარი მიზანი განმსაზღვრელ შეფასებათა კომპონენტების შედგენაში სკოლის ავტონომიის ჩაშენებაა. მიმაჩნია, რომ ეს სასურველი და ლოგიკური მოცემულობაა. იმედი მაქვს, რომ ასეთი მიდგომა დადებით შედეგს გამოიღებს.

თამარ მანუჩარაშვილი, ***ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი (სამცხე-ჯავახეთი)*** – დიდი ხანია ვფიქრობ,რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო შეფასების სისტემაში. რთულია ასე დაზუსტებით და კონკრეტულად თქვა,რა არის უმჯობესი და რა არა,მაშინ,როცა ჯერ არ დაგვიტესტავს ახალი მიდგომები,მაგრამ ამ ეტაპზე,ჩემი აზრით, ახალი შეფასებით,რომელიც გულისხმობს განმავითარებელ შეფასებას, ნაკლებ სტრესული იქნება მოსწავლისთვის.აღარ იქნება ნიშანზე ორიენტირებული. მოსწავლე შეძლებს, მეტად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. ის მიდგომა,რომ ადრე თუ ნიშნის გამო სწავლობდნენ და ახლა აღარ ისწავლიან ,უფრო მარწმუნებს,რომ დიახ, საჭირო ყოფილა ცვლილება. ბავშვმა უნდა ისწავლოს განვითარებისთვის და არა ნიშნის(ქულის) გამო. რა თქმა უნდა, პრობლებლემები აქაც იჩენს თავს,მაგრამ სიახლის მიღება უნდა ვისწავლოთ. გამოვიდეთ შაბლონური მიდგომებიდან და მივცეთ ბავშვებს ის,რაც მეტად უნდათ - თავისუფლება, აკეთონ თავიანთი ფანტაზიით და ნუ დავზაფრავთ განმსაზღვრელი შეფასებით წლის ბოლოს.

რუსუდან ნადირაშვილი, ***ინგლისური ენის მასწავლებელი*** – „როგორც ცნობილია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებებზე მუშაობის პირველი ეტაპი დასრულდა. გაუქმდა განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და მოდელები. სკოლებს თავად შეგვიძლია შევქმნათ განმსაზღვრელი შეფასების ორიგინალური სისტემა, ნიშნების კონვერტირება მოხდება ისევ 10 ბალიან სისტემაში. 5 ქულაზე დაბალი წლიური შეფასებისას მოსწავლეს უნდა შევთავაზოთ რემედიაციის პროგრამა, საშემოდგომო გამოცდის ჩაბარებამდე. თუმცა, თუ ყველა სკოლა შეფასების ორიგინალურ სისტემას შექმნის, სკოლიდან სკოლაში გადასვლის დროს ხომ არ შეექმნება პრობლემა სასწავლო პროცესში? ჩემი აზრით, განმსაზღვრელი შეფასების სულ გაუქმება მოსწავლეს მოტივაციას დაუკარგავს. მასწავლებლის ბერკეტი ხომ შეფასებაა. რაღაც ფორმით ხომ უნდა ფასდებოდეს მოსწავლის ცოდნა. ჩემი აზრით, კარგი შეთავაზებაა სკოლებისთვის ის, რომ ჩვენ გვეძლევა შევქმნათ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე და მოსწავლეზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. წინასწარ ცოტა რთულია ვისაუბროთ ახალი მოდელის ავ-კარგიანობაზე, ყველაფერს ალბათ დრო გვიჩვენებს. მუშაობის პროცესში გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები.“

დიახ, მართლაც დრო გვიჩვენებს, რას ემსახურება ეს ცვლილება - სკოლების ავტონომიის გაძლიერებას თუ უბრალოდ ერთი ზედა ინსტანციიდან პასუხისმგებლობის მოხსნას და ქვედა საფეხურზე გადატანას.

მოამზადა

ელზა ხარაშვილმა

„გრამატიკა ენის სულია, ლიტერატურა – სულის წვრთნა“

პირველ დეკემბერს, დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ქართული ენის ნამდვილი ზეიმი იყო. შეკრებილ საზოგადოებას, ლოდინის მიუხედავად, სამი მშვენიერი ენათმეცნიერი ქალბატონის ხილვის ბედნიერება ხვდა წილად. სამივე ენათმეცნიერმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ნაშრომები და ის სიახლეები გააცნო, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტსაც ეხებოდა.



მარიკა ჯიქია, ქეთევან გოდერძიშვილი, ქეთევან ჯერვალიძე - ეს ის სამი ქალბატონია, რომელთა მოსმენაშიც დრო ძალიან სწრაფად გადის. მითუმეტეს მაშინ თუ ქეთევან ჯერვალიძე გალაკტიონ ტაბიძის „რარიგ კარგია,სამშობლოვ“ ისეთი კუთხით წარმოგიდგენს, როგორც არავის აქამდე ეს არ გაუკეთებია. ენათმეცნიერმა ამ ლექსს „სიმბოლიზებული ქართლის ცხოვრება“ უწოდა. დაინტერესდებით, თუ რატომ- სიმბოლიზებული და თანაც ქართლის ცხოვრება. როგორც ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, „გალაკტიონი მხოლოდ ღვთივცხებული პოეტი კი არ არის, ის უაღრესად წიგნიერი პოეტია. ზედმიწევნით იცის „ქართლის ცხოვრება“, იცის ჯავახიშვილის „პალეოგრაფიაც“ („ოცდაექვსი საუკუნის წინად ქმნიდნენ ქართულ ანბანს“) და როგორც ილიამ უანდერძა, ყური აქვს მიდებული ქვეყნის მაჯაზე. პოეტს 1920 წელს კიდევაც დაუწერია ლექსი „აი, ჩემს თვალწინ ძველი სიონი...“; ერთგან კი წერს: “შემოიჭრება სიონში სხივი” და სხვა. გალაკტიონი, როგორც უკვდავების ვეშა წყაროს, ისე ეწაფება ჰიერონიმ სიონს. წარმოიდგინეთ, ამ ლექსშიც ძალუმად იგრძნობა ილიასა და აკაკის სუნთქვა...“.

შეხვედრაზე მან მთლიანად გაანალიზა გალაკტიონის ეს მარტივი, მაგრამ ამავდროულად გენიალური ლექსი, რომელიც ბევრმა მას ამბიციად ჩაუთვალა და მასზე ქირქილებდნენ კიდეც. „ლექსის გამოქვეყნებისთანავე მიხვდა საზოგადოება, ერი, ან რა მიხვედრა უნდოდა, რომ პოეტი საკუთარ თავს გულისხმობდა მრავალწერტილის ადგილას? თანამოკალმეთაგან ზოგმა გალაკტიონს ეს მარტივი და ნათელი ლექსი ამბიციად ჩაუთვალა და როგორც ახასიათებს პრივილეგირებულ ქართულ საზოგადოებას, ზურგსუკან ქირქილებდნენ, ერმა კი მაშინვე უცილობელ ჭეშმარიტებად მიიღო პოეტის ნათქვამი და მის მხარეს დადგა. როგორ ააგო პოეტმა ლექსი? პირველ სტრიქონში საუბარია სამშობლოზე, როგორც საქართველოს კუთხეთა ნაკრებზე, მის ერთობლიობაზე, თუ გნებავთ, შესაკრებელთა ჯამზე. მეორე სტრიქონში საქართველო კონკრეტდება ორი მდინარეების აუზად. პირველი მტკვარია, რომელიც მოედინება ისტორიული ზემო ქართლიდან, ვარძიასთან შემოდის დღევანდელი საქართველოს საზღვრებში, გამოსხლტება მესხეთისა და თრიალეთის ქედებს შორის, ლიხის მთის ძირს ასცდება, რომელიც მიუხედავად ამისა, ძუძუს აწოვებსო მასაც და მდინარე რიონსაც. შიდა ქართლის ტერიტორიაზე შემოწერს ნახევარმთვარეს და დაეშვება სამხერთ-აღმოსავლეთისკენ. მეორე მდინარე რიონია, ძველ ბერძენ ისტორიკოსთა და პოეტთა მიერ ფაზისად ხმობილი. თვით ფაზის ბერძნულად, გამოვლენას, გამოაშკარავებას, გამოცხადება-ნათელყოფას, დამტკიცებას ნიშნავს, ჩვენი სვანურით კი ქებას — ფაშდ/ფასთ/ფათ. ლექსის მესამე სტრიქონი იწყება შოთათი, როგორც ქართული პოეზიის გუთნისდედათი, ვინაიდან მისგან იღებს დასაბამს მთელი შემდგომი ეპოქების ქართული საერო ლიტერატურა. მის ქმნილებაში კი სახეცვლილი მოედინება ქართული ჰაგიოგრაფიაც და ჰიმნოგრაფიაც, ჰომილეტიკაც, ეგზეგეტიკაც, დოგმატიკაც, ასკეტიკა და კანონიკაც, პოლემიკა და აპოლოგიაც, ისევე, როგორც ქართულ ენაში მდინარებს ყველა მისი კილო-კავი და განშტოება. შოთა გამამთლიანებელია ამერ-იმერის სულიერი საუნჯისა, გვირგვინია მისი. შემდეგ კი მოდიან წყვილ-წყვილად ქართველი მგოსნები, კლასიკოსები: ილია — ამერიდან, აკაკი — იმერიდან, ვაჟა — ლიხსაქეთიდან და გალაკტიონი — ლიხსიქეთიდან, რომელთაც ღმერთმა დააკისრა დაშლილი, ოკუპირებულ-ანექსირებული ქვეყნის ერთიან სააზროვნო სივრცეში შეკრება მაშინ, როცა მწერლებმა იკისრეს პოლიტიკური მესაჭის, ქურუმ-მოძღვრისა, და მთავარსარდლის ფუნქციები“ – აღნიშნა მან.

ქალბატონმა ქეთევანმა ასპარეზი დაუთმო, **ქეთევან გოდერძიშვილს,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ენათმეცნიერს, ონამასტიკოსს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მისი ახალი წიგნი „**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა ლექსიკონი**“. ამ კონკრეტული წიგნისთვის ქალბატონმა ქეთევანმა დედოფლისწყაროში არსებული 2000-მდე ტოპონიმი შეისწავლა. მან საკმაოდ ფართოდ ისაუბრა წიგნის მნიშვნელობასა და იმ კონკრეტულ მიგნებებზე, რაც მას მუშაობის პროცესში ჰქონდა. ქეთევან გოდერძიშვილმა საზოგადოებას გააცნო საკუთარი ლექსებიც, რომელიც „ისტორიისა და რწმენის გამოძახილი ლექსებით“ წიგნშია შესული. მისი საავტორო წიგნები ქალბატონმა ქეთევანმა დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა.

შეხვედრის ბოლოს, შეკრებილ საზოგადოებას ენათმეცნიერმა, ფილოლოგმა და თურქოლოგმა, მარიკა ჯიქიამ მიმართა. მან ქართულ ენაში არსებულ იმ სახელებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც სხვადასხვა კულტურათა გავლენით საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა. ქალბატონმა მარიკამ ქართულ გვარებზეც ისაუბრა, რომელიც ფუძესა და ძირს სხვა ქვეყნებიდან იღებს.

შეხვედრის დასასრულს, მოწვეულ სტუმრებს საინტერესო და მრავალფეროვანი ლექციისთვის მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა, მანანა მაჭარაშვილმა. მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სიღრმეებით იმ სფეროების შესწავლას, რასაც ენა და ენათმეცნიერება ჰქვია. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რის შემდეგაც მოწვეულ სტუმრებთან დამსწრე საზოგადოებამ სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

შეხვედრა რეინჯერებთან და საველე სარკვევი

„საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის“ ორგანიზებით დედოფლისწყაროში ჭაჭუნას აღკვეთილისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის შეხვედრა-სემინარი გამართა. რეინჯერებს ბიომრავალფეროვნების საველე სარკვევის პრეზენტაცია გააცნეს, რაც მათ ადგილობრივი ლანდშაფტის უკეთ გაცნობაში დაეხმარება და სამუშაო პროცესს გაუმარტივებს.

როგორც გაზეთ „შირაქს“ არასამთავრობო ბუნებისდაცვით ორგანიზაციაში განუცხადეს, ხსენებული სარკვევი სწორედ „საბუკოს“ გუნდის მიერ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომზადდა. დედოფლისწყაროში გამართული ეს შეხვედრაც თავმოყრილი მასალის იმ სამიზნე ჯგუფებისთვის გაცნობას ისახავდა მიზნად, რომლებიც უშუალოდ დაცულ ტერიტორიებზე მუშაობენ და ამ ადგილებთან ყველაზე მეტი შეხება აქვთ.

„ადგილობრივ მაცხოვრებლებზე და ტურისტებზე ხშირად ამ ადგილებში სწორედ რეინჯერები იმყოფებიან, ამიტომაც მათთვის ამ საინტერესო ინფორმაციის ადგილზე მიწოდება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. სარკვევის დახმარებით, მათ სრული კომპეტენცია ექნებათ ისაუბრონ ამ ლოკაციებისა და იქ არსებული ბიომრავალფეროვნების, თუ ცალკეული სახეობებისა და ინდივიდების შესახებ.“ - აღნიშნავდნენ სპეციალისტები.

შეხვედრაზე კმაყოფილებას გამოხატავდნენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებიც, რომელთაც მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა გაგვიზიარეს.

ნინო სეთურიძე (ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომელი): „საბუკომ (**Sabuko**) მოამზადა საველე სარკვევები ძირითადი სახეობების შესახებ. ფოტოებით და ინფორმაციით. შეხვედრის დროს საბუკოს წარმომადგენლებმა ჩაატარეს პრეზენტაცია და მოკლე ანოტაცია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ეს სარკვევი რეინჯერებმა ველზე პატრულირების დროს. ასევე მოისმინეს ჩვენგან თუ რა გამოწვევები გვაქვს და ასევე ჩვენი აზრი, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ გამოწვევებს. ეს იყო მოკლე, მაგრამ ძალიან სასარგებლო და ინფორმაციული შეხვედრა. ამ სარკვევში შესულია ჩვენთან გავრცელებული ძირითადი და წითელი ნუსხის სახეობები. რეინჯერების უმეტესობა არ ფლობს ინგლისურ ენას. გარდა იმისა, რომ ეს სარკვევი მათთვის არის როგორც სახელმძღვანელო, ასევე შეუძლიათ გამოიყენონ უცხოელ ვიზიტორთან, რომელიც დაინტერესებულია ბიომრავალფეროვნებით და გააცნონ მათ ეს სახეობები. ამ სარკვევში ყველა სახეობას გარდა ქართული სახელწოდებისა, მითითებული აქვს ინგლისური და ლათინური სახელებიც“.

საბუკო ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციაა, რომელიც 2014 წელს ველური ბუნების კონსერვაციის ქართულმა ცენტრმა დააარსა. ის BirdLife-ის, მსოფლიოს უმსხვილესი ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციის ადგილობრივი პარტნიორია საქართველოში. საბუკოს მისიაა ველური ბუნებისა და ჰაბიტატების დაცვა, კონსერვაცია და აღდგენა საქართველოში; საზოგადოების მიერ ბუნების დაფასების გაზრდა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისება. შეიძლება ითქვას, ეს ორგანიზაცია ყველაზე აქტიურად დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე მუშაობს, რადგანაც გადაშენების პირას მყოფი არწივების დაცვა/მეთვალყურეობას ისინი სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტში ახორციელებენ. ამას გარდა, ისინი აქტიურად იკვლევენ ივრის ჭალის ტერიტორიას. მათი მუშაობა იმდენად ნაყოფიერი იყო, ბოლო ხანს მათი არეალი დედოფლისწყაროში კიდევ უფრო გაფართოვდა და კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში საბუკო დედოფლისწყაროში უფრო ფართო კვლევებს ჩაატარებს.

ილია მარტყოფლიშვილი

კიდევ 8 ოქროს მედალი უშუს ჩემპიონატზე

2-3 დეკემბერს გაიმართა 2023 წლის ჩემპიონატი უშუში, დედოფლისწყაროს უშუს გუნდიც იღებდა მონაწილეობას მწვრთნელების გიორგი ცისკარაულის და ლუკა პოპიაშვილის ხელმძღვანელობით. დაძაბული ბრძოლების შემდეგ ჩვენი გუნდის ანგარიშზე 8 ოქროს მედალია, ჩემპიონები გახდნენ:

ჯემალ სურმანიძე, ლუკა ლიქოკელი, ირაკლი ყოჩიაშვილი, დაჩი ზოროღლიანი, ნიკოლოზ ხარაზიშვილი, ლუკა კვანჭილაშვილი, ვაკო მოსაშვილი, დავითი ბუაძე

მეორე ადგილები: ანრი კილაძე, დავით ქადაგიძე, გიგა პოპიაშვილი, ალეკო სურმანიძე, იოსიფ ყაბანაშვილი.

მესამე ადგილი კი ოვანეს ოგანესიანმა და გიორგი წიკლაურმა მოიპოვეს, ეს უკანასკნელი კი მაღალ წონით კატეგორიაში გამოვიდა, რამაც გააძნელა ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა.

გიორგი ცისკარაული ***(მწვრთნელი):*** „საუკეთესოდ იასპარეზა და ძალიან დაძაბული ბრძოლა გამართა ლუკა კვანჭილაშვილმა, რომელმაც მძიმე წონაში მოიპოვა ჩემპიონობა, საუკეთესო ტექნიკა აჩვენეს ასევე ვაკო მოსაშვილმა, დავით ბუაძემ და ლუკა ლიქოკელმა. საკმაოდ რთული ბრძოლა გამართა დაჩი ზოროღლიანმა რომელსაც ძალიან ძლიერი ქუთაისელი მეტოქე შეხვდა, საბოლოო ჯამში ყველა ჩემპიონმა საუკეთესოდ იასპარეზა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენმა გუნდმა, სხვა გუნდებს შორის ყველაზე მეტი ოქროს მედალი აიღო საქართველოს მასშტაბით. ასე რომ, ეს ტრადიცია ისევ გავაგრძელეთ. ამ ჩემპიონატზე არ მონაწილეობდნენ ჩვენი უძლიერესი მებრძოლები გივი გოჩიტაშვილი და მსოფლიო ჩემპიონი საბა ბუთხუზი, რადგან ისინი 16 დეკემბერს დავით ბუაძესთან ერთად პროფესიონალურ ბრძოლებს გამართავენ ქ. თბილისში, რომელსაც სულ ახლა ეყრება საფუძველი და ძალიან მალე სისტემატიურ სახეს მიიღებს“.

ირაკლი ყოჩიაშვილი: „სპორტი ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, პანდემიის პერიოდში სპორტულ ვიდეოებს ვუყურებდი. ჩაკეტილობის დროს მთელი ყურადღება ამას დავუთმე, მოძრაობებს და მათ წესებს ვაკვირდებოდი, ვიმახსოვრებდი. განსაკუთრებით მომწონს და დიდი დოზით ვაკვირდებოდი ბოიკას გამოსვლებს. მაშინ სკოლაში სპორტს გიორგი ცისკარაული მასწავლიდა და სწორედ აქედან გავიგე ამ გუნდის შესახებ. თავიდანვე ძალიან დამაინტერესა. მალევე მეც მათთან ერთად ვარჯიში დავიწყე და ხუთი თვის შემდეგ პირველად გამიყვანეს შეჯიბრზე. მას შემდეგ მთელი ჩემი ოჯახი ასე მოვდივართ უშუ-სანდაზე უზომოდ შეყვარებულები, ნაბიჯ-ნაბიჯ ვვითარდებით და წინ მივიწევთ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მწვრთნელს, ასეთი გვერდში დგომისთვის და ამხელა წარმატებებისთვის. მამა თავიდანვე დიდი გულშემატკივარი იყო, დედას ტრავმების ეშინოდა, მაგრამ უზომოდ გახარებულს რომ მხედავდა და წარმატებებს ვაღწევდი, დაძლია და ახლა დედაც დიდი გულშემატკივარი გახდა. ორივე მშობელი გვერდში მიდგას და მგულშემატკივრობს, უხარიათ ჩემი შემართება და მიღწევები. როცა ჩემპიონატიდან გამარჯვებული ვბრუნდები, ოჯახი საჩუქრებს მიკეთებს და ცდილობენ გამახარონ. ძალიან მინდა იმ ასაკამდე მალე მივიდე, რომ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობა შევძლო. მართალია საუკეთესო დარბაზი არ გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ მწვრთნელი გვყავს საუკეთესო და იქ ბავშვებიც ისეთები დადიან, ფარხმალს არ ვყრით“

ლუკა ლიქოკელი: „ყოველთვის მომწონდა სპორტი, ორი წელია, რაც უშუს გუნდში დავიწყე ვარჯიში. ჩემი მეგობარი დადიოდა და მისგან დავინტერესდი. პირველად მას გავყევი ვარჯიშზე და აღფრთოვანებული ვიყავი, სახლში ვთქვი, უნდა ვიარო მეთქი და მას შემდეგ დავიწყე ვარჯიში. მშობლებიც რომ ხედავენ ასეთი ბედნიერი ვარ, ცდილობენ ,ყველანაირად გვერდით დამიდგნენ და ხელი შემიწყონ. ვვოცნებობ, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე მოვხვდე. ამისათვის ჯერ არც ასაკი მიწყობს ხელს და ბევრია საშრომი. მე ძალებს არ დავზოგავ, რომ მიზნებს მივაღწიო და ოჯახი და გუნდი გავახარო“.

ილია მარტყოფლიშვილი

კრივი და კიკბოქსინგი ასეთი პოპულარული არასოდეს ყოფილა“

2-3 დეკემბერს ქ. თბილისში საქართველოს საბრძოლო ლიგას და სავატეს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობით (პრეზიდენტი ინგა დამენია) ტაილანდური კრივის ჩემპიონატი ჩატარდა. შეჯიბრი საერთაშორისო მასშტაბის იყო და მასში თურქი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ირანელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

წარმატებულად იასპარეზეს და საქართველო კიდევ ერთხელ ასახელეს დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი "ჩემპიონი"-ს (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი) სპორტსმენებმა. ჩემპიონები გახდნენ: **ილია ხატიაშვილი, სოსო ჯავახიშვილი, ლუკა ტუმასიანი, გიორგი ქადაგიშვილი.**

როგორც გუნდის მწვრთნელი „შირაქს“ ეუბნება, წარმატებული გამოსვლები იყო და დადებითად აფასებს მთლიანად 2023 წლის შედეგებს.

თამაზ ყარაგვეზაშვილი: „ძალიან დატვირთული წელი გვაქვს შეჯიბრების თვალსაზრისით. მოხარული ვარ, რომ ჩვენი სპორტსმენები უცხოელ მეტოქეებს ტოლს არ უდებენ და ხშირად ტექნიკური მომზადებით ჯობიან კიდეც. დედოფლისწყაროელი ბიჭები თავს არ ზოგავენ, რომ რინგის საშუალებით ჩვენი რაიონის სახელი ხშირად ჟღერდეს ქვეყანაში, თუ საზღვრებს გარეთ. კრივი და კიკბოქსინგი ასეთი პოპულარული ჯერ არ ყოფილა. უამრავი ახალი კლუბი და გუნდი გაიხსნა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. წონით კატეგორიებში მოასპარეზე სპორტსმენთა შორის კონკურენცია გაიზარდა. თითოეული საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა ძალიან გართულებულია. ეს ყველაფერი კარგიცაა, საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად.

დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონის“ მებრძოლებმაც თავი გამოიჩინეს. მაგალითად გიორგი ქადაგიშვილს წელს წაგება არ ჰქონია, ყველა ჩემპიონატი მოიგო. მასზე მომავალში დიდ იმედებს ვამყარებ. ჯერ მხოლოდ 13 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. ასევე პერსპექტიულები არიან სოსო ჯავახიშვილი, ლუკა ტუმასიანი, ნიკა თარალაშვილი, ლაშა ჭუბაბრია, ძმები მიხეილ და გიორგი ბაღასარიანები, ლუკა ზურიკაშვილი, გიორგი ჯამასპიშვილი, ლუკა მეხრიშვილი. მალე სხვა შემადგენლობაც გამოჩნდება ასპარეზზე, ჯერ მათ პირველი ასპარეზობისთვის ვამზადებ.

კვლავ აქტუალურია ჩვენთვის ახალი დარბაზის აშენების საკითხი. ძალიან მოხარული ვარ და იმედი მაქვს, რომ ამჯერად ტენდერი შედგება. დღევანდელ სიტუაციაში სავარჯიშო ბაზის არსებობა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია. ამიტომაც ველით სიხარულით და დიდი მოლოდინით. საკუთარი ბაზა რომ გვექნება, წარმატებები იქნება ათჯერ მეტი“...

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში ეპიდემიოლოგიური ვითარება სტაბილურია

დედოფლისწყაროში ეპიდემიოლოგიური ვითარება სტაბილურია-ამის შესახებ გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას მუნიციპალიტეტის მთავარმა ეპიდემიოლოგმა განაცხადა. ლალი ალადაშვილის განცხადებით, „დედოფლისწყაროში კოვიდ-19 -ით ინფიცირების შემთხვევები მცირეა. სეზონური გრიპის ვირუსების გართულების შემთხვევებიც არ დაფიქსირებულა. წარმატებით ჩაიარა გრიპზე ვაქცინაციის პროცესმა. წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გრიპის ვაქცინის 850 დოზა იყო შემოსული, რომელიც თითქმის მთლიანად გაიხარჯა. ამ დროისთვის მუნიციპალიტეტს აქვს ვაქცინის 128 დოზა.

მოზარდებსა და ბავშვებში დაფიქსირდა წითელასა და ქუნთრუშას ერთეული შემთხვევები, რომლებიც გართულების გარეშე მიმდინარეობს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჩვენი საავადმყოფოს მედპერსონალი მუდმივად მზადაა, დახმარება აღმოუჩინოს დედოფლისწყაროს მოსახლეობას“.

რუსეთი და უკრაინა მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდნენ

2024 წლის ბოლომდე რუსეთი უკრაინის პირობების საფუძველზე მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დაჯდეს - ამის შესახებ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის პირველმა მოადგილემ, ჯონათან ფაინერმა განაცხადა.

მისი თქმით, აშშ-ის მიზანია, რუსეთი არჩევანის წინაშე დააყენოს: ან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს, ან „საქმე ჰქონდეს უფრო ძლიერ უკრაინასთან, რომელიც ეყრდნობა მძლავრ სამრეწველო ბაზას აშშ-სა და ევროპაში“ და იერიშზე გადასვლა შეუძლია.

„გვსურს, რომ მომავალი წლის ბოლოს უკრაინელები ისეთ პოზიციებზე აღმოჩნდნენ, რომ რუსეთს მოუწიოს გადაწყვეტილების მიღება: დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან უკრაინისთვის ხელსაყრელი პირობების საფუძველზე ან ებრძოლოს გაცილებით უფრო ძლიერ უკრაინას“, - აღნიშნა ფაინერმა.

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ამავე ასოციაციის საპატიო წევრი, საქართველოს და სსრკ-ს სახალხო არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ქუთაისის საოპერო თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ზ.ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი და საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ საუკუნის ლეგენდის ლომინანტი

მედეა ამირანაშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ მისი ერთადერთი შვილის - მარინა ფარულავას ოჯახს და სრულიად საქართველოს.

სამრეკლოს დედათა მონასტერში კელიების მშენებლობა განახლდა

უკვე რამდენიმე კვირაა აქტიურ ფაზაშია სოფელ სამრეკლოში დედათა მონასტრის მშენებლობა. პროცესის განახლება შემოწირულობებით მოხერხდა. ამდენად, ყველას შეუძლია ამ წმინდა საქმეში წვლილის შეტანა.



ილუმენია სერაფიმა ***(სერაფიმ საროველის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი):*** „მშენებლობა 8 წლის წინ დაიწყო, თუმცა საძირკველი ჩაისხა და უსახსრობის გამო პროცესი ამ დრომდე შეჩერებული იყო. ახლა გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც შევძელით აქტიურად დაგვეწყო პროცესი. რა თქმა უნდა ეს საკმარისი არ არის, მაგრამ შემოწირულობით შევძელით კედლების ამოყვანა დაგვეწყო. გავბედეთ იმის იმედად, რომ კიდევ იქნება მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა და მხარდაჭერა ამ პროცესში. ერთობლივი ძალებით შევძლებთ აშენებას. ძირითადი თანხა ნიკოლოზ ბენიაიძემ შემოგვწირა, რითაც განვაახლეთ სამუშაოები. გარკვეული თანხა ჩვენს მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების რეალიზებიდანაც შევაგროვეთ და ამ საქმეს მოვახმარეთ“.

სოფელ სამრეკლოში სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი გრაფი სეჩენოვის შემოწირულობით აშენდა და სავარაუდოდ, 1902 წელს ამოქმედდა. სოფელს XIX საუკუნის ბოლოს რუსი ახალმოსახლეები სეჩენოვკას ეძახდნენ. ეს სახელიც დაკავშირებულია იმ გრაფთან, რომელმაც დიდი შემოწირულობა გაიღო ეკლესიის ასაშენებლად. ტაძარმა მხოლოდ ორი ათეული წელი იმოქმედა. 1921 წელს დაწყებული გასაბჭოების დღიდან ტაძრებს ბრძოლა გამოუცხადეს. ეს ეკლესიაც საწყობად და სხვადასხვა საკომეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ამავე პერიოდში მთლიანად დაიწვა ტაძრის გუმბათი, რომელიც მთლიანად ხისგან იყო აგებული.

ტაძარი 2012 წელს რესტავრირდა ივანიშვილის ფონდი „ქართუს“ დაფინანსებითა და სხვადასხვა შემოწირულობებით. ხელახლა აშენდა სამრეკლო და გუმბათი. 2017 წლის 4 დეკემბერს კი აქ დედათა მონასტერი დაფუძნდა. ეს პირველი დედათა მონასტერი იყო ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში.

„მეჩვიდმეტე საუკუნიში შაჰაბასის მიერ უქმდება პირველი თორმეტთაგანი ეპარქიიდან ერთ-ერთი ხორნაბუჯის ეპარქია. მას შემდეგ არცერთი მონასტერი აღარ არსებობს. ჩვენს ეპარქიაში მამათა მონასტერი რამოდენიმე იყო, დედათა კი პირველი აქ დაფუძნდა,“ – აღნიშნავს დეკანოზი გაბრიელ ბენიაიძე.

ანგარიშის ნომერი
GE92TB7711536080100014
მიმღები: ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქია, დანიშნულებაში მიუთითეთ - სამრეკლოს მონასტრისთვის

სასკოლო პროექტი „შირაქის“ რედაქციაში

7 დეკემბერს ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეები გაზეთ „შირაქის“ რედაქციას ესტუმრნენ.

მოზარდები ახორციელებენ ერთ-ერთ სასკოლო პროექტს, რომელიც სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის ისტორიის კვლევას ეხება. რედაქციაში დაცული უნიკალური საარქივო მასალებიდან და საგაზეთო სტატიებიდან მათ პროექტისთვის საინტერესო დეტალები ამოიღეს, მათ შორის ექსკლუზიური ფოტომასალა, რომელიც უწმინდესის ამ ტაძარში სტუმრობას ასახავს.

გაზეთ „შირაქის“ დირექტორმა **ინგა შიოლაშვილმა** ყურადღება გაამახვილა საბჭოთა პერიოდზე, პრესის როლსა და მდგომარეობაზე: „ურთულეს 1937 წელს დაფუძნდა ჩვენი გაზეთი და ასეთივე რთული ბედი დაჰყვა. ბევრ ქარტეხილს გაუძლო, ბევრი პერიოდი გადალახა, თუმცა არასოდეს გაჩერებულა. ხან კვირაში სამჯერ გამოიცემოდა, ხან თვეში ერთხელ, მაგრამ ჩავარდნა არ ჰქონია. გაზეთი ამავე შენობაში არსებულ სტამბაში იბეჭდებოდა. მაშინ კომპიუტერინ არ არსებობდა და ბეჭდვის ფორმაც განსხვავებული იყო- ლითოგრაფიული, რომელიც ბრტყელი ბეჭდვის ნაირსახეობაა, რომლის დროსაც გამოსახულება და ტექსტი ფოტომექანიკური წესით ან ხელით გადააქვთ ლითოგრაფიულ ალუმინის ან თუთიის თხელ ფირფიტაზე, საიდანაც იგი უშუალოდ აღიბეჭდება ქაღალდზე. იყო უშუქობაც, უფულობაც, მაგრამ ყველა გამოწვევას გაუძლო. დღესაც სტაბილურად გამოდის და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის მედიატორის როლს ასრულებს.“

გაზეთ „შირაქის“ რედაქტორმა **ილია მარტყოფლიშვილმა** აღნიშნა, რომ პრესის როლი დედოფლისწყაროს ისტორიაში ძალზე დიდია.

„თქვენი თაობისთვის დღევანდელ რეალობაში წარმოუდგენელიც კია, რომ კომუნისტურ პერიოდში ყველა ადამიანს უნდა მოსწონებოდა მთავრობა, ქვეყნის კურსი და ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ეს მაშინდელი რეალობა იყო და განსხვავებული აზრი თითქმის არსად ისმოდა. ყველა ადამიანი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ექცეოდა და ასე იზრდებოდნენ თაობები.“ – აღნიშნავს ილია მარტყოფლიშვილი.

გაზეთ „შირაქის” თანამშრომლებმა ბავშვებს გააცნეს გაზეთის თანამედროვე აწყობა-დაკაბადონების პროცესი, რომელიც ადრინდელთან შედარებით ბევრად გაიოლებულია. სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს გაზეთის თანამშრომლებს გულთბილი მასპინძლობისთვის.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2024 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 20 ლარია, ხოლო 6 თვით - 10 ლარი.

გამოიწერეთ და სახლში მიიღეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

ულოცავენ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილს!

მაკა მეტრეველს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მაკა მეტრეველს ულოცავენ ქალიშვილების: ნატალის და ნიკოლეტას დაბადებას. პატარებს უსურვებენ უფლის წყალობას, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

* * *

გაზეთ „შირაქის” რედაქციის თანამშრომლები ულოცავენ ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მაკა მეტრეველს ქალიშვილების დაბადებას. ტყუპებს უღრუბლო და ბედნიერ მომავალს უსურვებენ.

ულოცავენ!

გოგი კიკილაშვილს!

ბატონო გოგი, გილოცავთ დაბადების დღეს! დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის თქვენ ახალი შესაძლებლობა გააჩინეთ, უანგაროდ შრომობთ, არ იშურებთ ძალას, ენერგიას და გამოცდილებას, რომ ჭადრაკს და წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს გვაზიაროთ. ამიტომაც ძალიან გვეიმედებით და გვინდა ბედნიერ წელთა სიმრავლე გისურვოთ.

დიდი პატივისცემით, ჭადრაკის წრის მოსწავლეები: **მათე მარტყოფლიშვილი, ნიკოლოზ იაკობიშვილი, სალომე კვიწინაშვილი** და **ოთარ ელოშვილი;**

მშობლები: თამო ოზგეთელაშვილი, მარიამ იაკობიშვილი, ნინო კვიწინაშვილი და ანჟელა ელოშვილი.

ყურადღება!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და გთავაზობთ ფერად საახალწლო კალენდარს.

თუ გსურთ თქვენი ბავშვის ფერადი ფოტო განთავსდეს 2024 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინოთ ის 23 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში, ფიროსმანის ქუჩა №18, ან დაგვიკავშირდით ნომრებზე: 591 092 472; 591 092 477;

შეგახსენებთ!

კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება, მაგრამ თუ ერთ ფოტოში ორი ან მეტი ბავშვი იქნება 20 ლარი.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია!!!

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 11.12	სამშაბათი 12.12	ოთხშაბათი 13.12	ხუთშაბათი 14.12	პარასკევი 15.12	შაბათი 16.12	კვირა 17.12
დღე	7°	7°	4°	4°	6°	7°	2°
ღამე	3°	3°	2°	2°	2°	-1°	-3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანიაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი